დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის“ სამაგისტრო პროგრამა
სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

19/10/2022

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
06/11/2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 15

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 34

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო მიდელაშვილი, სსიპ -საქართველოს ტექნუკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Political Analysis and Public Policy
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა არის ახალი საგანამანთლებლო პროგრამა.

საგანმანათლებლო პროგრამა 120 კრედიტიანია, რაც მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 ECTS კრედიტი), არჩევით კომპონენტს (არჩევითი სასწავლო კურსები - 20 ECTS კრედიტი), თავისუფალ კომპონენტს (თავისუფალი სასწავლო კურსი 20 ECTS კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS კრედიტი).

პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის მოცემულ სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო საგნებში წარმოდგენილია ერთი მხრივ, საკვანძო დარგობრივი სასწავლო კურსები (38 ECTS), ისეთები, როგორიცაა: პოლიტიკური მეცნიერების სკოლები და კონცეფციები; საჯარო პოლიტიკის თეორია; საჯარო პოლიტიკის ანალიზი; შედარებითი საჯარო პოლიტიკა, პოლიტიკური ინტერესების არტიკულაცია და აგრეგაცია; პოლიტიკური იდეოლოგიები და საჯარო პოლიტიკური პროცესი; ეთიკა, კორუფცია და საჯარო პოლიტიკა; ეკონომიკური პოლიტიკა. და მეორე მხრივ, კვლევითი უნარების განვითარებისთვის წარმოდგენილია 52 ECTS, რაც მოიცავს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, მონაცემთა ანალიზს, აკადემიური წერისა და კვლევის დიზაინის კურსებს; სამაგისტრო ნაშრომს - პოლიტიკის მეცნიერებაში, რაც შეეხება არჩევით და თავისუფალ სასწავლო წარმოდგენილია 30 ECTS-ით, საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 20 ECTS შესაბამისი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები. ასევე, სტუდენტს შეუძლია დარჩენილი 10 ECTS გამოიყენოს თავისუფალი კრედიტისთვის ან აირჩიოს სასწავლო კურსები არჩევითი ბლოკიდან, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს ერთი მხრივ, გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, მეორე მხრივ კი, სექტორული პოლიტიკის სასწავლო კურსებს. მოცემულ პროგრამაში.

პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოიყენება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლების მეთოდი; თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული მეთოდი ებმის სასწავლო კურსის შინაარს. პროგრამის ძირითადი სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2022 წლის 22 აგვისტოს შედგა აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიზიტი მიმდინარეობდა

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ჩატარდა ინტერვიუები უსდ სკოლის ადმინისტრაციასთან, უსდ და სკოლის ხარისხის განვითარების სამსახურთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლოს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე დართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მიზნები უსდ-ის, მისიის, მიზნებისა და სტრატეგიის შესაბამისია; ის შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დარგისა და აკადემიური საზოგადოების განვითარების საჭიროებებს, ასევე იცნობს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არის საჯარო და ხელმისაწვდომი, რასაც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტის ვებგვერდი საკუმუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციების მეშვეობით.
აქვე უნდა აღინინიშნოს, რომ პროგრამა არის ახალი და მისი შექმნა განპირობეული იქნა კვალიფიკიაციათ ეროვნული ჩარჩიოს მოთხოვნების შესაბამისად. მანადმე უმაღლეს საწავლებელში ხორციელდებოდა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.tsu.ge
- შრომის ბაზრის კვლევა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. აღნიშნული სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საგანმანათლებლო მიზნებიდან და ფარავს კურსდამთავრებულის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც დასტურდება მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკით. წარმოდგენილი სწავლის შედეგები არის გაზომვადი, ლოგიკურად დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. თითოეული შედეგი არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში სასარგებლო როლი შეასრულა დამსაქმებლების გამოკითხვამ, რაც აისახა პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.

საგნმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის მთავარ საზომად სასწავლო კურსების შინაარსებია წარმოდგენილი. სასწავლო კურსებში, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითში, წარმოდგენილი სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები თუ

მიდგომები აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობისა და გაზომვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.
საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პოლიტიკის მეცნიერებების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის საგანმანათლებლო კომიტეტების ოქმები;
- პროგრამის მიზნების და შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინსტიტუციის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით დგინდება, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება წარმოადგენს სილაბუსის ავტორის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციას, კონკრეტულად კი მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირია სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო კურსის ავტორი, ხოლო მოცემული შედეგების ანალიზსა და მონიტორინგს კი აწარმოებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელები.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გათვალისწინებულია კითხვარის გამოყენება სტუდენტთა თვითშეფასებისათვის, ამასთანავე, ამავე მიზნით დაგეგმილია დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრები. თითოეული ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის შედეგად კი ხდება ძირითადი მიგნებების იდენტიფიცირება და მათი ანალიზი.

ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. ეს პროცესი გულისხმობს, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდება პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგების, შეფასების სისტემის ანდა რესურსების განახლება, რაც პირდაპირ პროპორციულია პროგრამის განვითარებასა და გასაუმჯობესებასთან.

ექსპერთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და ამასთანავე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გაცნობას დაინტერესებული პირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში (დანართი 19);
- პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (დანართი 9.3);
- კურიკულუმის რუკა (დანართი 9.2);
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი წესების ამსახველი დოკუმენტის - საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მისი სტრუქტურა აგებულია ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის საფუძველზე და კრედიტების ჯამური ოდენობა შეადგენს 120 ECT, მათ შორისაა: სავალდებულო სასწავლო კურსები 90 კრედიტი (ECTS), აქედან სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი (ECTS); სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 20 კრედიტი (ECTS); თავისუფალი სასწავლო კურსები 10 კრედიტი (ECTS). როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევითი სასწავლო კურსები ითვალისწინებს ადეკვატურ დაშვების წინაპირობებს. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა თანამშრომლობითი სამუშაო პროცესი პროგრამის შინაარსზე, სადაც ჩართული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ამას ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაციაც.

მისასალმებელია, რომ საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის გასაუმჯობესებლად მისი დადარება განხორციელდა როგორც საქართველოს, ასევე, ევროპის უნივერსიტეტებთან, კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მანჩესტერის უნივერსიტეტის და ამსტერდამის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამებთან.

აღსანიშნავია, რომ არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური ოდენობა აღემატება არჩევითი ნაწილისთვის განსაზღვრულ კრედიტების რაოდენობას, თუმცა, სასურველია გამრავალფეროვნდეს არჩევით საგანთა ბლოკი ახალი სასწავლო კურსებით, სადაც გათვალისწინებული იქნება ინგლისურ ენაზე (პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მოთხოვნიდან გამომდინარე) დარგობრივი საგნების არსებობა და პრაქტიკის კომპონენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მანჩესტერის უნივერსიტეტის და ამსტერდამის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების (პოლიტიკის ანალიზი და საჯარო მართვა) სამაგისტრო პროგრამების შედარებითი ანალიზი;
- ოფიციალური ვებ.გვერდი www.tsu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლ	☒	☐	☐	☐

ო	პროგრამის
სტრუქტურა	და
შინაარსი	

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები შედგენილია თსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის მე-4 დანართის სანიმუშო ფორმის შესაბამისად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად); სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები; ლექტორი/ლექტორები; სასწავლო კურსის სტატუსი (ფაკულტეტი; სწავლების საფეხური; პროგრამა; სტატუსი - სავალდებულო/არჩევითი), კრედიტების რაოდენობა სტუდენტის საათობრივი დატვირთვით; სასწავლო კურსზე დაშვების წინაირობები, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები (აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად), სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები); სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, აკადემიური კეთილსინდისიერება; დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში) და სასწავლო კურსის შინაარსი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამას ახლავს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა, რომელიც თვალსაჩინოს ხდის თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.

სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლონ დარგისთვის აქტუალურ საკითხებს. სასწავლო მასალად შეთავაზებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა აღსანიშნავია, რომ სილაბუსთა დიდ ნაწილში ლიტერატურა ინგლისურენოვანია, სტუდენტებისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული მოთხოვნა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ, მიღწევადს ხდის მასალის ათვისებას, თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასურველია,

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ქართულ ენაზე სასწავლო მასალის ფართო არჩევანიც, რაც მეტად ხელსშეუწყობდა კურსის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება ენიჭება პირს, რომელიც ფლობს ბაკალავრის ხარისხს ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომს ნებისმიერ სფეროში. ამასთანავე, პროგრამაზე დაშვებისათვის სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:

➢ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;

➢ სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;

➢ წერითი გამოცდა სპეციალობაში;

➢ ინგლისური ენის B2 დონის დადასტურება თსუ-ის მიერ უცხო ენის ინსტიტუციონალური გამოცდის ჩაბარებით ან/და თსუ-ს მიერ აღიარებადი შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენით (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები);

➢ გასაუბრება სპეციალობაში (ამ მიზნით შექმნილ კომისიასთან);

პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ასევე, მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების თანახმად და კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. ასევე, აღსანიშნავია, რომ თსუ-ში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც ხორციელდება სტუდენტთა მიღება.

ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერთა ჯგუფი სასურველად მიიჩნევს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში აქცენტი გაკეთდეს ინგლისური ენის B2 დონის დადასტურებასთან ერთად დარგობრივი ინგლისური ენის შემოწმებაზეც, რაც განაპირობებს კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების უმრავლესობაში მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის სრულფასოვან ათვისებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი - https://tsu.ge/assets/media/files/71/academic/2018/722018_d1.pdf
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ტრანსფერული, კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული უნარების განვითარებას ხელსუწყობს სასწავლო კურსები და მათი სწავლებისა და შეფასების მეთოდები და ფორმები. სასწავლო კურსების უმრავლესობაში ჩაშენებულია კვლევითი, ანალიტიკური და პრაქტიკული დავალებები. კვლევითი უნარების გამომუშავების მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სავალდებულო სასწავლო კურსები: რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, თვისებრივი კვლევის მეთოდები და ანალიზი, რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი, აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი პოლიტიკის მეცნიერებაში და სამაგისტრო ნაშრომი.

კვლევითი და ანალიტიკური, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ როგორც თსუ-ის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე, გამოაქვეყნონ სამეცნიერო სტატიები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონულ ჟურნალში - „სტუდენტური ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში". ექსპერთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული შესაძლებლობები ეფექტურად იმუშავებს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ განსაკუთრებით სტუდენტთა იმ კონტიგენტისთვის რომელიც არ არის დასაქმებული, სასურველია სამაგისტრო პროგრამის არჩევით ბლოკში პრაქტიკის კომპონენტის გათვალისწინება, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება სტუდენტებს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული მიმართულებით გამოყენებაში, ახალი კომპეტენციების გამომუშავებასა და რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილების მიღებაში. ამის საშუალებას იძლევა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მემორანდუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებში;
- ინფორმაცია ურთიერთთანამშრომლობის მემომარნდუმებზე;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი - სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში - http://sjss.tsu.ge/#
- ოფიციალური ვებ.გვერდი www.tsu.ge
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში

				მოთხოვნებთა ნ
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სტუდენტზე ორიენტირებული, საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული სწავლა-სწავლების მეთოდები: ვერბალური (ინტერაქცია, დიალოგი); დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლების მეთოდი.

თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებელი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინსტიტუციის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობის და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათ მონაწილეობას სათანადო ავტონომიურობით და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ანალიტიკური უნარის განვითარებაზე. ამასთანავე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, არსებული ელექტრონული რესურსების საფუძველზე, თსუ-ს აქვს პროგრამის სწავლის სფეროსთვის შესაბამისი სწავლის მეთოდებით ელექტრონული/დისტანციური სწავლების უზრუნველყოფის საშუალება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი https://tsu.ge/assets/media/files/71/academic/2018/682018_d1.pdf;

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი https://www.tsu.ge/ka/legalakad/15980;
- ელექტრონული სწავლების ფორმატში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წესები;
- ოფიციალური ვებ.გვერდი www.tsu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსუ-ში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და თსუ-ს შიდა რეგულაციებთან. სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე შემფასებლებისათვის. პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისშივე. თითოეულ სასწავლო კურსში შეფასება მორგებულია სწავლების შინაარსსა და ითვალისწინებს მოცემული კურსის სპეციფიკას. პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად

ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. ელექტრონული სწავლების პლატფორმები LMS.tsu.ge და e-learning.tsu.ge ასევე საშუალებას აძლევენ სტუდენტებს მიიღონ უკუკავშირი სწავლის შედეგებზე და ინდივიდუალურად გაეცნონ შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს მაქსიმალურ ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრმით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, სასემინარო წერითი სამუშაოებს, საშინაო (პრაქტიკული) დავალებებს, ზეპირი პრეზენტაციებს, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც შუალედური, ისე ფინალური შეფასების გზით. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ. ამსთანავე, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ყოველწლიურად პროგრამის სამეცნიერო პერსონალის მიერ რეგულარულად ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი.

სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე - მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასევე ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს და ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით (სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები: აქტუალობა - 5 ქულა; კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა; ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა; ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა; ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა; ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა). როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, სტუდენტები გარდა აღნიშნული შეფასების სისტემისა, ასევე კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც.

ვიზიტის განმავლობაში, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი და ახალი რეგულაციების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ, გაუმჯობესონ სწავლის შედეგები. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები ასევე კარგად იცნობენ მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები. გასაჩივრების შემთხვევაში თსუ-ს მხრიდან ხორციელდება სტუდენტის კოკნრეტული აქტივობის ხელახალი შეფასება ჯერ მოცემული საგნის ლექტორთან, ხოლო შემდგომი საჩივრის შემთხვევაში - სააპელაციო კომიტეტთან (ლექტორთა საბჭო).

აქვე ხაზგასასმელია, რომ ვიზიტის შედეგებმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის თაობაზე ხდება ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მექანიზმით. კერძოდ, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარული ონლაინ-კონსულტაციების

მეშვეობით აცნობს აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების მექანიზმებს. მოცემული მიმართულებით, ასევე პერიოდულად ტარდება ტრეინინგები, რომლის მეშვეობითაც ხდება შეფასების სისტემის გაცნობა შემფასებლებისათვის. გარდა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურისა, ასევე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები ატარებენ რეგულარულ კონსულტაციებს აკადემიურ პერსონალთან, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს დეტალურად ეცნობა არსებული გაიდლაინები ელექტრონული შეფასების სისტემისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, მოიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ელექტრონული სწავლების პლათფორმა “e-learning” (e-learning.tsu.ge) და LMS.tsu.ge
- დადგენილება №100/2019 - სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ;
- სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესი;
- მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებს მოცემული პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ყველა ის საჭირო დახმარება და კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. მოცემულ პროცესში სტუდენტებს დახმარებას უწევენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ სტუდენტისა და კურსდამთავრებულისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც. კონსულტაციები იმართება პროგრამაზე ჩარიცხვიდან პირველივე კვირაში, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ.

ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება აქვთ, აკადემიური პერსონალისგან სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. კონსულტაციისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეხვედრები, ელ-ფოსტა, ელექტრონული სასწავლო პორტალი LMS-ი და ოფიციალური სოციალური ქსელები. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი თვითშფასების პროცესში. მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში,

რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე წელიწადში ერთხელ მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. თსუ-ს ცენტრალური ხარისხის სამსახური ასევე ატარებს ყოველკვირეულ საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან. ასევე ინდივიდუალურად ხდება ანონიმური გამოკითხვის ფორმის დაცვით სტუდენტთა გამოკითხვა თავად კურსის ლექტორის მიერ.

უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სასწავლო პორტალის ადმინისტრირების სისტემის (admin.lms.tsu.ge) მეშვეობით სტუდენტი ერთვება უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო სივრცეში. ამასთანავე მოცემულ პორტალზე სტუდენტები რეგისტრირდებიან და ირჩევენ სასწავლო კურსებს. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს ჩატარების შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. ასევე, თსუ-ის ვებ გვერდზე განთავსებული „სტუდენტური გზამკვლევის“ მეშვეობით სტუდენტს საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია თსუ-ში მოქმედი ნებისმიერი რეგულაციების შესახებ. გარდა იმისა, რომ მოცემული საშუალებების გამოყენებით, სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროგრამის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და სასწავლო მასალების შესახებ, მათ ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო დეპარტამენტსა და კანცელარიის მეშვეობით დაფინანსებისა და გაცვლითი პროგრამების თაობაზე. ხაზგასასმელია, რომ მომიჯნავე პროგრამის მაგისტრატურის სტუდენტებს საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით მიეწოდებათ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, კვლევითი პროექტებისა და გრანტების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური მნიშვნელოვან მხარდაჭერას უცხადებს სტუდენტებს მოცემული მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე შექმნილია კრედიტების აღიარების კომისია, რომელიც თსუ კრედიტების აღიარების მიზნით ადგენს სტუდენტის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას.

ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს პროგრამის გამორჩეულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დასაქმდნენ ან/და სტაჟირება გაიარონ იმ კვლევით ცენტრებში, რომლებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტი. მოცემული კუთხით სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით თსუ-ში მოქმედებს კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი, რომელიც პერიოდულად გეგმავს ტრენინგებსა და სემინარებს სტუდენტთა პროფესიული და კარიერული მხარდაჭერის მიზნით. ამასთან, პერიოდულად ეწყობა დასაქმების ფორუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ელექტრონული სასწავლო პორტალის ადმინისტრირების სისტემა;

- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში;
- მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტებთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ფაკულტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. თითოეულ სტუდენტს ფინალური სემესტრის დაწყებამდე მის მიერ შერჩეული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე გამოყოფილ აკადემიური ხელმძღვანელთან მთელი სემესტრის განმავლობაში უტარდება უშუალო სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები, რათა სემესტრის ბოლოს დაცვაზე წარდგენილი ნაშრომი შეესაბამებოდეს დადგენილ კრიტერიუმებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან;
- მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომები;
- მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსუ პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 28 პროფესორი, აქედან 13 ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, 15 - მოწვეული პროფესორი.

პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა, სტუდენტების ადგილების რაოდენობა, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, მსოფლიო წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკა.

უსდ-ში მოქმედებს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“, მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს, კერძოდ, ამავე დოკუმენტშია აღწერილი კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღბის პროცესი.

უსდ-ს მიერ განსაზღვრულია „აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები“, რომლის მხიედვით აფილირებული პერსონალი აკაყოფილებს შემდეგ პირობებს: ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი /სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება თსუ-ს; აქტიურად არის ჩართული თსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/ სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

ამავდროულად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა უნივერსიტეტში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებიდან, ზემოთ აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. თითოეულ საკითხთან

დაკავშირებით ფლობენს ამომწურავ ინფორმაციას და მათი კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭირო მოთხოვნებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი	4			
- ასოცირებული პროფესორი	7			
- ასისტენტ-პროფესორი	2			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	15			_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი https://www.tsu.ge/data/file_db/orders/118-danarti1.pdf
- აკადემიური/სამცნიერო პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით (ამავე თვითშეფასების ანგარიშის რაოდენობრივი მაჩვენებელი)

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსუ პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 29 პროფესორი, აქედან 13 ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, 15 - მოწვეული პროფესორი. აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა, პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა, სტუდენტების ადგილების რაოდენობა, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, მსოფლიო წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკა. მაგისტრანტებს ყავს ოვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი	4		
- ასოცირებული პროფესორი	7		
- ასისტენტ-პროფესორი	2		
მოწვეული პერსონალი	15		_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა (დანართი 4 და 15)
- ssიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი https://www.tsu.ge/data/file_db/orders/118-danarti1.pdf
- აკადემიური/სამცნიერო პერსონალის პირადი საქმეები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად,

წელიწადში 2-ჯერ. ასევე, უსდ აანალიზებს პერსონალის სხვადასხვა ტიპის აქტივობებს და გარკვეული პერიოდულობით ახდენს პერსონალის ატესტაციას.
პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია ფაკულტეტის მიერ, რომლის მიხედვითაც, მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური/პროფესიული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და უსდ უზრუნველყოფს პერსონალის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით (სამეცნიერო, სწავლების მეთოდოლოგია და სხვ.) გარდა სკოლის ადმინისტრაციისა და ხარისხის განვითარების სამსახურისა, პერსონალის განვითარების პროცესში ჩართულია უსდ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.
უსდ-ში მოქმედებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც, პერსონალს საშუალება აქვს ინტეგრირდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მემორანდუმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მობილობისა და პროექტების მხრივ).
უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა საგრანტო სქემა. აკადემიურმა პერსონალმა შეიძლება მიიღოს გრანტი მაღალ რეიტინგულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების მიზნით.
საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უსდ უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის დებულება;
- მემორანდუმები და საერთაშორისო მემორანდუმები;
- პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებები;
- სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამუშაოს აღწერილობა;
- ჩატარებული ინტერვიუები;
- უსდ ვებგვერდი www.tsu.edu.ge.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული	☒	☐	☐	☐

პერსონალის პროფესიული განვითარება

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში არსებული საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. სასწავლო მასალა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია; თავის მხრივ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს კომპიუტერული რესურს-ცენტრი (მეოთხე და მეექვსე კორპუსებში), მეოთხე კორპუსში საფაკულტეტო წიგნთა საცავი. ამდენად, არსებული საბიბლიოთეკო და ტექნიკურ-მატერიალური რესურსი პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია და ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

სტუდენტებთან ასევე პროფესორ -მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით. თსუ-ს ყველა სტუდენტს (მათ შორის მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს) აქვთ შესაძლებლობა საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით ისარგებლონEBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893).

პროგრამის ლექტორთა ძირითად ნაწილს გამოშვებული აქვს სასწავლო მასალები, მონოგრაფიები და რიდერები. უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა (https://tsu.ge/ka/library/page/894);
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://e-learning.tsu.ge/);

- ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://lms.tsu.ge/);
- ელექტრონული კატალოგი/საბიბლიოთეკო ფონდი (https://www.tsu.ge/ka/library);
- მულტიმედია ცენტრი (http://multimedia.tsu.edu.ge/).

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და გაწერილია: აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება; პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-სრულყოფის საკითხები; სამივლინებო და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები (როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის); წიგნების ფონდისა და მისი განახლების, გამომცემლობითი, სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს ბიუჯეტი;
- პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი;
-

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება შეხვედრები აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შეფასების პროცესის ინდივიდუალიზებას, რაც გულისხმობს პროგრამისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად დადგენილ კრიტერიუმებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებას პროგრამის შეფასების პროცესში. უსდ ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით მექანიზმების ადაპტირებას და განსაზღვას, საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებისათვის ადაპტირდა კმაყოფილების კითხვარები და დაინეგა კონკრეტული შეფასების ფორმები.

პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება შემდეგი ინდიკატორები: სტუდენტთა რაოდენობა, საჭიროებები და პროგრესია, დასაქმების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა მაჩვენებლები, განმახორციელებელი პერსონალი, რაოდენობა, დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი. პროგრამის განხორციელების სრულყოფის მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობით შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტებს, ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს.

უსდ-ში წარმატებით ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა.

საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, მონაწილეობს ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. გარდა ამისა, ასევე აქტიური პრაქტიკაა შიდა მონიტორინგის პროცესი, რომელიც სააკრედიტაციო ვიზიტის იმიტაციაა და ხორციელდება კოლეგიალური შეფასების პრინციპებზე დაყრდნობით. დადგენილი პრაქტიკის თანახმად, შიდა შეფასების სამიზნე ხდება საგანმანათლებლო პროგრამა რომელსაც დღიდან ბოლო აკრედიტაციისა არც ერთი ცვლილება არ განუცდია; ხშირად განიცდის ცვლილებებს; ხარისხის სამსახური აკვირდება სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს როგორც ვიწრო თემატურ კლასტერს და აფასებს ჰოლისტურად.

პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებული, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ექსპერტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის განვითარების პროცეში დაინტერესებული მხარეების მაღალმა ჩართულობამ, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტურმა ფუნქციონირებამ დადებითი გავლენა იქონია პროგრამის განვითარებისა და სააკრედიტააციოდ მომზადების პროცესში, რაც ნამდვილად მისასალმებელი პრაქტიკაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატროები და შეფასების წესი;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განხორციელებული შეფასების ანალიზი და გამოკითხვის შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. უსდ რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით მიღებული შედეგები აისახება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში. ვინაიდან, პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა ახალია, ინსტიტუცია გამოთქვამს მზაობას აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი ექპერტთა ჯგუფის მიგნებები ასახულ იქნას პროგრამის განვითარების პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების ფარგლებში გაზიარებულ იქნა მალმოს უნივერსიტეტის პროფესორთან. წარმოდგენილი შეფასების ანალიზის შესაბამისად, პროგრამის ძლიერ მხარედ შეფასებულ იქნა პროგრამის მულტიდისციპლინური შინაარსი, რომელიც პასუხობს

საერთაშორისო დასაქმებისა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და სტუდენტებისათვის პროფესიული უნარების გამომუშავების კომპეტენცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის
  უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- მხარდაჭერის წერილი მალმოს უნივერსიტეტის პროფესორისგან;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს ხორციელდება სტუდენტების მიერ აღნიშნული სასწავლო კურსის შეფასება შესაბამისი კითხვარის მეშვეობით. მიღებული მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. პერიოდულად ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასება, ლექციაზე დასწრების გზით. ასევე სტუდენტების მიერ ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის საქმიანობის შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კი შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს რეგულარულად აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ასევე ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანთლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დადარებულ იქნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მანჩესტერის უნივერსიტეტის და ამსტერდამის უნივერსიტეტის მომიჯნავე პროგრამებთან. შესწავლილი პროგრამების გამოცდილების გაზიარების შედეგად, გამოიკვეთა პროგრამის სტრუქტურის გარკვეული მსგავსება, კვალიფიციური კურსდამთავრებულებისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარებზე აქცენტი და ინტერდისციპლური შინაარსი. თუმცა, აღსანიშნავია პროგრამის ინდივიდუალიზმი, რაც გამოიხატება პოლიტიკური ანალიზის გაძლიერებული სწავლებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება დაინტერესებული მხარეთა მაღალი ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატროები და შეფასების წესი;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განხორციელებული შეფასების ანალიზი და გამოკითხვის შედეგები;
- ანალოგი პროგრამების ანალიზი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

თავმჯდომარე დავით გეგეჭკორი:

წევრები:

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით გეგეჭკორი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა სოფიო მიდელაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამთა ცხოვრებაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა ფირცხელანი